

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი №9**

**ქ.ლანჩხუთი
25.10.2019 წელი**

**სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე**

ფრაქციის წევრები:

**ზაალ სანაძე, ვლადიმერ ნანაძე, რეზო კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გვარჯალაძე,
რევაზ კვერენჩილაძე, კახა ბოლქვაძე, ციციჩო ჩხაიძე.**

მოწვეული პირები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსი როლანდ
ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი ვახტანგ შალიკაშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარე, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“<

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერს N2010 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის ლანჩუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი ლარი), რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოებზე 90590 ლარი და არსებული ხიდების რეაბილიტაციაზე 404910 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N2125 განკარგულებით კერძოდ შემცირდა გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა 1337 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურიდან შემოვიდა მოთხოვნა, რომ შიდა მონაცვლეობის (სხვა პროგრამების დაფინანსების შემცირების

ცენტრი. ვინაიდან აღნიშნული უძრავი ქონება სრულად ემსახურება საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობის მიზნებს, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა მოხდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა ს/კ 27.04.51.275) სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემა.

ფრაქციის თავმჯდომარე, ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

სხვადასხვა

დეპუტატმა კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მიწები ახალი ჩასმულია უკვე საჭიროებს შეცვლას.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"